ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდი მიმართვით გამოვიდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ უკრაინის ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 04.07. 2023. 2023 წლის 4 ივლისს გამოქვეყნდა ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის მიმართვა, რომელიც მიღებულია უკრაინის ხელისუფლების გახშირებულ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმართულია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

მიმართვაში ნათქვამია:

ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კიევ-პეჩერის ლავრაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

მიუხედავად ათი ათასობით მორწმუნე მოქალაქის პროტესტისა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან დაგმობისა, უკრაინის ხელისუფლება განაგრძობს ყველა მართლმადიდებელი მორწმუნისთვის უდიდესი სიწმინდეების მუხანათურ ხელყოფას და არ წყვეტს აღმოსავლელი სლავი ხალხის მართლმადებლური სარწმუნოების აკვნის გაპარტახების მცდელობას.

რამდენიმე თვის განმავლობაში გამოგონილი ბრალდებით პატიმრობაში იმყოფება კიევ-პეჩერის ლავრის წინამძღვარი ყოვლადუსამღვდელოესი პავლე (ლებედი). ლავრის მღვდელმსახურნი მოკლებულნი არიან საღვთო ლიტურგიასა და სხვა საღვთო მსახურების ჩატარების შესაძლებლობას, ხოლო მისი ბინადარნი და მრავალრიცხოვანი მრევლი – სავანის საკათედრო ტაძრებში თავისუფალი ლოცვის საშუალებას. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კლირიკოსებსა და ერისკაცებთან მიმართებით რეგულარულად ხდება კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები, რომლებიც კიდევ უფრო ამძაფრებს შექმნილ ვითარებას.

2023 წლის ივნისის ბოლოს ფართო გამოხმაურება მოჰყვა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კიევის საქალაქო ხელისუფლება რუსეთის სარაკეტო დარტყმებისგან კულტურულ ფასეულობათა „გადარჩენის“ კეთილმოჩვენებითი საბაბით გეგმავს კიევ-პეჩერის ლავრიდან მართლმადიდებელ ეკლესიაში განსაკუთრებით განდიდებული სიწმინდეების – წმინდა ნეშტებისა და ძველი ხატების გატანას შემდგომში იტალიის, საფრანგეთის, გერმანიისა და ვატიკანის მუზეუმებისთვის „შესანახად“ გადაცემის მიზნით. ამასთან, უკრაინის სახელმწიფოსა და უკრაინის დედაქალაქის ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს მართლმადიდებელ მორწმუნეთა აზრს, რომელთა მღელვარება და ყურადღება კიევ-პეჩერის ლავრაში ჩატარებულ სიწმინდეთა „ინვენტარიზაციის“ პერიოდში იმის ცრუ დაპირებით მოადუნეს, რომ უკრაინელი ხალხის სულიერი, ისტორიული და კულტურული ფასეულობები არასდროს დატოვებენ უკრაინის ტერიტორიას.

იმ შემთხვევაში, თუკი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ეს ჩანაფიქრი განხორციელდება, წმინდა ეკლესია და უკრაინელი ხალხი დაკარგავს ამ ესოდენ რთულ დროში აუცილებელ სულიერ საყრდენსა და ნუგეშს, რასაც ხალხი განდიდებული ხატებისა და ამ ძველი სავანის ტაძრებსა და მღვიმეებში დავანებულ ღვთის სათნო წმინდანთა ნეშტების წინაშე ლოცვებში პოულობს. ასევე, დიდი საფრთხეა იმისა, რომ სიწმინდეები დაზიანდეს ან დაიკარგოს ტრანსპორტირების შედეგად. განსაკუთრებულ მუხარებას იწვევს იმის საფრთხე, რომ თითოეული მორწმუნე ადამიანის გულისთვის ძვირფასი ხატები და წმინდა მოსაგრეთა ნეშტები შეიძლება აღმოჩნდეს სამუზეიმო ან კერძო ადამიანების კოლექციებში, რომლებიც ხშირად შორს არიან რწმენისა და ღვთისმოსაობისგან, რითაც განმეორდება ბელარუსის სიწმინდის – ღირსი ეფროსინე პოლოცკაის ჯვრის ტრაგიკული ხვედრი.

კანონმდებლობის დარღვევას და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა და მორწმუნეთა უფლებების უგულებელყოფის დემონსტრაციულ აქტს წარმოადგენს უკრაინის კულტურის სამინისტროს მორიგი განკარგულება, რომლის ძალითაც კიევ-პეჩერის ლავრის ბინადრებმა უნდა დატოვონ სავანის ტერიტორია.

ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა თავისი პოზიცია გამოხატა უკრაინაში და კიევ-პეჩერის ლავრაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით 2023 წლის 28 მარტის **მიმართვაში** . სინოდის წევრები ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურების, მონაზვნებისა და ერისკაცების სახელით კვლავ გადაჭრით გმობენ უკრაინის კანონმდებლობისა და ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო ქმედებებს უკრაინისა და ქალაქ კიევის ხელისუფლების მხრიდან, რაც დღემდე გრძელდება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის, კიევ-პეჩერის ლავრის, მისი წინამძღვრისა და საძმოს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოებისა და ერისკაცების მიმართ.

ამ რთულ დროში გამოვხატავთ რა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მხარდაჭერას, ჩვენ მოვუწოდებთ უკრაინის ხელისუფლებას, არ დაუშვას საეკლესიო რელიქვიებისა და სიწმინდეების გატანა, რომლებიც ასეულობით წლებია იმყოფება კიევ-პეჩერის ლავრის კედლებში და ყველა სლავი ხალხის სულიერ საყრდენს წარმოადგენს. ჩვენ გამოვდივართ თავისი სავანიდან კიევ-პეჩერის ლავრის საძმოს გამოსახლების წინააღმდეგ, სადაც ისინი ათობით წლის განმავლობაში ღვთისმოსაობით იღვწიან და უკრაინელი ხალხის საკეთილდღეოდ ლოცულობენ.

ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდი აცხადებს, რომ კიევ-პეჩერის ლავრიდან მონაზვნების ძალადობრივი გზით გამოსახლების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ შემდგომი სამონაზვნო მოღვაწეობის ადგილი ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის სამონაზვნო სავანეებში ჰპოვონ.

მოვუწოდებთ ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა შვილს, გააძლიერონ ლოცვები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი შვილებისთვის.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90505/